№ 227

კვირა, 2 ნოემბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 227

კვირა, 2 ნოემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს,

ბენეფისი ელის. ჩერქეზიშვილისა

ქართულ დრამატიულ დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

### ბედი მუხთალია

სცენები გლეხთა ცხოვრებიდან 5 მოქმ. თხზ. ეკატ. გაბაშვილისა

დასასრულ

პირველად ახალი პიესა

### სამოცი წლის აშიყი

ვოდევილი 1 მოქმ. თხზ. ელ. ჩერქეზიშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელისა, საყვარელიძისა, რჩეულოვისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

მზადდება „კუდურ ხანუმ“, „სიყვარული და ცრუ-მორწმუნოება“ და სხვ.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(წ)

ტფილისი, 1 ნოემბერი

იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი? აი უმთავრესი ძარღვი აღმოსავლეთის საქმისა, რომელიც ეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, რაც ევროპას არ აძინებს, არ ასვენებს და ერთი ერთმანეთის შურითა და მტრობითა აქეთ იქით ატოკებს და არყევს. ამას მოსდევს მეორე განსაკითხი არა ნაკლებ მწვავი და რთული: ვთქვათ, არ იყოს, ვინ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი, ვინ უნდა გასწიოს მისი მაგიერობა, რადგანაც მაგიერობა მისი ევროპის ძალ-ღონეთა სასწორის უღელს ან აქეთ, ან იქით გადაჰხრის იმისდა მიხედვით, ვინ რა ირგუნა დაცლილ სამკვიდროსაგან, ან ვინ აათრიალა საკუთრად თვისი დროშა ბოსფორზე?

ეხლა ოსმალეთი თავისთავად არ წარმოადგენს იმისთანა სახელმწიფოს, რომ მარტოდ და ცალკედ საშიშარი იყოს რომელიმე დიდ სახელმწიფოსათვის, თუ მარტოდ-მარტო გაემკლავებიან ერთმანეთსა. ბალკანეთის წვრილნი სახელმწიფონიც უშიშარ არიან ოსმალეთისაგან. თუმცა თვითოეულ მათზე ოსმალეთი გაცილებით ძლიერია, მაგრამ არც ერთი დიდი სახელმწიფო აქ გზას არ მისცემს, არც ერთს ამ წვრილ სახელმწიფოს ოსმალოს არ გაათელვინებენ, ოსმალოს ლუკმად არ გაჰხდიან. მაგალითი ამისი დღეს დამარცხებული საბერძნეთია. მაშ რა თავის ასატკივებელია: არის ევროპაში ოსმალო, თუ არა? ვის რას უნდა უშლიდეს?

ნასკვი საქმისა სწორედ აქ არის. ამ ნახევარ საუკუნოზე მეტ ხანში—იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი—მაჯლაჯუნასავით გულზედ აწევს ევროპასა და ვერას გზით ვერ აუცილებია. ამ ხანის განმავლობაში ბევრ ნაირად ფერი იცვალა თვითეულის დიდს სახელმწიფოს პოლიტიკამ ამის შესახებ. რუსეთს სწამებენ, რომ ჯერ კიდევ პეტრე დიდმა ამოიღო ოსმალეთი ნიშანში, ხელი გაიწვდინა სტამბოლზედა ამ გზით სვლა ანდერძად დაუდვა რუსეთსაო. ჩვენ არ ვიცით, რამოდენად მართალია ეს ანდერძ-დადება, ხოლო-კი უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულმა ვითარებამ პეტრე დიდის აქედ რუსეთის პოლიტიკა უფრო აშკარად მიჰმართა ოსმალეთის დაუძლურებაზე და არა ერთხელ და ორჯელ დაანახვა ოსმალეთს, რა ძლიერი მეტოქეა მისთვის რუსეთი. ევროპა საფრანგეთისა და ინგლისის მეთაურობით არა ერთხელ სადიპლომატიო გზით და ხან თოფ-იარაღით და ჯარით მიჰშველებია ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ. გავიხსენოთ ყირიმის ომები და ყოველივე ის ხლართი საქმისა, რომელსაც ინგლისი არა ჰზოგავდა, რომ რუსეთს სტამბოლში საქმე წაუხდინოს და წინ ფეხი არ გადაადგმევინოს. გავიხსენოთ თუნდ უკანასკნელი ომი ოსმალეთთან, საცა გამარჯვებული რუსეთი თვით სტამბოლის კარის წინ შეყენებულ იქმნა ევროპის დიპლომატიის ძალმომრეობითა. ამ სახით, ომის დროს ევროპა ხან ჯარითაც ჰშველოდა ოსმალეთსა და ყოველთვის-კი, ომია, თუ უომრობა, დიპლომატიურ ძალღონეს ზედ ალევდა რუსეთის წინააღმდეგ და ოსმალეთის სახეიროდ. ამ ნახევარ საუკუნის პოლიტიკის გზას რომ დავადგეთ, აშკარად აღმოჩნდება ვინ იყო უკანასკნელ დრომდე ევროპაში მომხრე ევროპიდამ ოსმალეთის განდევნისა და ვინ ამის ხელშემშლელი და ოსმალეთის მწე-მფარველი. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთ შორის თავი და თავი ინგლისი იყო.

ეხლა-კი რას ვხედავთ? ინგლისმა თავი გამოიდო ოსმალეთის ევროპიდამ განდევნისათვის და რუსეთი სარჩლს უწევს ოსმალეთსა. ერთისა და მეორის პოლიტიკამ პირი უკუღმა იბრუნა და ამდენის ხნის თავისს საკუთარს მეცადინეობას ზურგი შეაქცია ერთმაცა და მეორემაც. საიდამ უნდა წარმომდგარიყო ასეთი ძირეული ცვლილება? რა მოხდა იმისთანა ევროპაში?

ამისი პასუხი, ჩვენის ფიქრით, იმ ორ ბანაკს შუა იმალავს თავს, რომელიც დღეს მთელს ევროპას თითქმის ორადა ჰყოფს და რომელიც აღარავისათვის საქვეოა მას შემდეგ, რაც რუსეთმა და საფრანგეთმა კრონშტატში და ტულონში დაანახვეს ქვეყანას და რაც უფრო უეჭველ შეიქმნა შემდეგ ჩვენის ხელმწიფე იმპერატორის საფრანგეთში მიბძანებისა და პეტერბურგში საფრანგეთის პრეზიდენტის სტუმრობისა. საიდამ სადაო, იკითხავთ? იქიდამ, რომ ამ ორად გაყოფამ ძალ-ღონე ორის ბანაკისა გაათანასწორა, გაატოლა. პირველ შეხედვით ეს გათანასწორება ერთმანეთისათვის იმისთანა მუქარას აღარ წარმოადგენს, რომ ამის მიხედვით შეშლილიყო რამ ევროპაში. მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ნათქვამია. ეს ორი მხარე რამოდენადაც უფრო ტოლ-თანასწორნი არიან, იმოდენად უფრო ადვილად მოსალოდნელია განსაცდელი ერთისა და მეორისათვის, იმიტომ რომ საკმაოა ევროპის აწეწილობამ ან დიპლომატიურ ოსტატობამ ერთი რომელიმე ორ ბანაკ გარედ დარჩენილი

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

ეს მთა მზის შუქით ბრწყინვალებს,
ის მთა ჯანღითა ბნელაო,
მოვა დრო, ეს მთა იბნელებს,
იმ მთას შეჰნატრებს ყველაო;
კაცის ცხოვრებაც ასეა:
დღეს შენ გაქვს ლხინი-მღერაო,
ხვალ სხვა იმღერებს და შენ-კი
გატირებს ბედის წერაო.

ღ. მაჩხანელი

## დამტარებელი № 213

(ჰენრიხ ლესი)

დინჯად უვლის თავისს შემოფარგლულს არე მარეს... № 213 და ჩვეულებრივის ყურადღებით ელის, დაიძახებს ვინმეო; თვალს არ აშორებს გადაღმა ჩამწკრივებულ ფანჯრებს, იქნება ერთ-ერთ მათგანში გამოჩნდეს ვისიმე მანიშნებელი ხელიო. ეს ეს არის მოიარა მან მოედანი Belle-Alliance ფრიდრიხ შტრასსე ვიდრე Unter den Linden-ამდე, იქიდგან გაუხვია მარკგრაფის ქუჩაზე და ისევ „ლინდების“ ქუჩით დაბრუნდა უკან. ასე ატარებს ის მთელს დღეს და მხოლოდ სადილის დროს ბრუნდება სახლში. ასე გაატარა გუშინდელი დღე, ასე გაატარებს ხვალინდელსაც, ზეგ...

ბნელი და ნოტიო, თუმცა არც ისე ცივი, იანვრის დღე იყო. ქუჩებში ტლაპო იდგა.

დამტარებელი სამოცზედ მეტის წლისა იქნებოდა. მისი უფერულ თვალებიანი და ნახევრად გაჭაღარავებულ წვერიანი, დამჭკნარი სახე არაფერს შესანიშნავს არ წარმოადგენდა. მოხუცს საკმაოდ კარგი მოსასხამი ეცვა: მოსასხამის კალთებ შორის ლურჯი ტილოს ტანსაცმელი მოსჩანდა. თავზედ წითელი გალაქული ქუდი ეხურა. ქუდზედ გაკეთებული ჰქონდა პატარა ნიშანი, რომელსაც პოლიციის ბეჭედი და ნომერი ესვა და ქვევით წარწერა ჰქონდა: „თავისუფალი დამტარებელიო“. წინად იგი ჰმსახურობდა ერთს კანტორაში და მაშინ იმისს ქუდზე ეწერა: „ექსპრესს“.

შემდეგ დანანდა ყოველ დღე ოცის ფვენინგის გარდახდა კანტორისათვის, რომელიც, სამაგიეროდ, წელიწადში ერთხელ შარვალს, ბლუზას და ქუდს აძლევდა; შევიდა ბერლინელ დამტარებელთა ამხანაგობაში, როგორც ერთი მის სამოც წევრთაგანი, და მაშინ იმისს ოთხ-კუთხ მოგრძო ნიშანზედ ეწერა: „ბ. დ. ა.“ ეს სამოცი წევრი ერთი მეორის თავდებია. აქ რამდენჯერმე დაიკარგა სხვა-და-სხვა ნივთი; მოხუცს გადახდა დასჭირდა და მას აქეთ გახდა „თავისუფალი“. ასე სჯობია. ეხლა ყოველ დილას სტამბიდგან გამოაქვს ათი წითელი ბილეთი. ამ ბილეთებზედ დაბეჭდილია მისი სახელი, ნომერი, ადრესი და ჩვეულებრივი პირობა: „ამანათის უზრუნველ მყოფელი გირაო სამოც-და-თხუთმეტი მარკა. შეტანილია პოლიციის სამმართველოში“. ამაში ყოველ სამ თვეს ერთ მარკას იხდის და აი ყველა საჭირო ხარჯი, რომელიც უნდება იმის საქმეს. ამის მეტს ვერც დაჰხარჯავს: რაც დრო მიდის, შემოსავალი კლებულობს. ეს მეტოქეობის ბრალია. ჯერ ერთი, პნევმატიური ფოსტა... ეს კიდევ იმდენად არაფერი; მერე—ნივთების ცხენებით დატარება. ყველაზედ უარესი-კი ტელეფონებია! სიძულილით უყურებენ დამტარებლები ამ წვრილ ჰაერში გამართულ რკინის ძაფებს, რომელთა რიცხვი წლიდამ წლამდე ჰმატულობს ამ სახურავებს ზემოდ ბადეს მგზავსად, რომელშიაც უნდა დაიღუპნენ საბრალო მუშები. 73-ში, როდესაც მან პირველად ჩაიცვა თავისი ლურჯი ტანსაცმელი, ეს წყეული მანქანა მაშინ არ არსებობდა; მაშინ ოთხისა და ხუთის მარკის შოვნა შეიძლებოდა დღეში, ეხლა-კი იმისი ნახევარი შემოსავალიც არა აქვს.

მართალია, ხანდახან შემთხვევით კარგა ფულსა ჰშოულობს, უმეტეს ნაწილად ახალგაზდა ვაჟბატონებისაგან, რომელნიც დამტარებლებს „ქალიშვილებთან“ გზავნიან. ან იმ დღეებში, როდესაც ცალკე ფურცლებს სტამბავენ, თუ არა-ჩვეულებრივი მოხდა რამე. ეს არის, რომ ფილტვებ მაგარი ვერ არის საბრალო. მას რომ ისეთივე ყვირილი შეეძლოს, როგორც სხვებს, მაშინ მეტს იშოვიდა.

—

— პსტ! დამტარებელო! თავისუფალი ხართ? დამტარებელის №213-ს წინ დგას მაღალი მოსული კაცი კეთილშობილური შეხედულობისა.

დამტარებელი თავაზიანად, თითქმის კრძალვით შეჰყურებს და წითელი გალაქული ქუდი ხელში უჭირავს. იანვრის სუსხიანი ქარი უშლის თხელსა და ჭაღარა თმას.

— ერთი რამ უნდა დაგაბარო ბიულოვშტრასეში, 37, მეორე სართული, ფრეილეინ ვალერიან პლოკა! გაქვთ ქაღალდის პაწია ნაგლეჯი? ადრესს დაგიწერთ. მე მინდა გავიგო, იქნება ის დღეს შინ, თუ არა, გესმით? პასუხს აქ ველოდები რესტორანში. წაიღეთ!

სამი ბრჭყვიალა ვერცხლის ორმოცდაათ ფვენინგიანი! აი, კეთილშობილი კაცი! ეს ხომ პირველ შეხედვაზედვე ეტყობა. მარკა ნახევარი, რასაკვირველია, წასვლისა და მოსვლისა!

ამისთანა ბედი ჯერ არა სწვევია მოხუცს. და მერე რა დროს! დღეს ერთი ფვენიგი რა არის, ისიც-კი არ უშოვია! აჰ, ეს ქალიშვილები! ბიულოვშტრასსე! მაშ ჯერ სჯობია

სახელმწიფო, თუნდ მეორე ხარისხოვანი, ან ერთს ბანაკს მიუყენოს, ან მეორეს და მით ერთი მეორეზე საგრძნობელად გაალონიეროს, გააძლიეროს ყოველ შემთხვევისათვის.

ვისგან უფრო მოსალოდნელი ამისთანა განსაცდელი? რასაკვირველია, ოსმალეთისაგან. ამ მხრით სხვა არც ერთი სახელმწიფოა ისე საგულვებელი, როგორც ოსმალეთი. ცალკე საკუთარმა ულონობამ, რომელმაც მთელი ოსმალეთი ევროპის დიპლომატიის ხელში სათამაშოდ ჩააგდო, ცალკე შინაურმა არევ დარეულობამ და მოუსვენარობამ ოსმალეთი იმ დგომარეობაში ჩააყენა, რომ სხვის პირში მაყურებლად-ღა გაჰხადა. ამასთან იმისთანა სახარბიელო ადგილები და საზღვრები უჭირავს, ისეთი მდებარეობა აქვს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა დიდი სახელმწიფო, რომელსაც არ ჰწყუროდეს ძიძაობა მისი ხელთ იგდოს და მისი საბელი ყელისა თვით დაიჭიროს სწორედ იმ განსაცდელის მოლოდინით, რომ სხვამ არ დაგვასწროს და არ მიიყენოსო.

თუმცა, როგორცა ვთქვით, ოსმალეთი თვითვეულ ცალკე დიდ სახელმწიფოსათვის საშიშარი არ არის, მგრამ იმოდენად-კი ღონიერია, რომ ვინც გადიბირებს, იგი გააძლიეროს. ამის გამო განა საკვირველია ვიფიქროთ, რომ ორის ბანაკის ძალ-ღონეთა გათანასწორებამ თვითვეული ცალკე იძულებული გახადა ოსმალეთი გადმოიბიროს იმის შიშით, რომ გაჭირების დროს სხვამ არ ჩაიგდოს ხელში საშველად. თუ ესეა, საკვირველი არც ის არის, რომ თვითვეული მხარე ეხლა ცალკე ჰცდილობს სტამბოლში და წელებზე ფეხს იდგამს, რომ ამ მხრით მეორეს საქმე დაასწროს და ოსმალეთი მოიმადლიეროს. მაშ რით უნდა აიხსნას ის უცნაური ამბავი, რომ დღეს გერმანია ასე ხელს აფარებს ოსმალეთსა და მისს მომადლიერებას ჰცდილობს? რა სტკივა გერმანიას აღმოსავლეთის საქმეში? განა არ გვახსოვს ბისმარკის სიტყვა: „ჩვენ არა გვეწვის-რა აღმოსავლეთის საქმეში, ჩვენ ერთს ბრანდერბურგის ჯარის-კაცსაც არ გამოვიმეტებთ მაგ საქმისათვისაო“.

ჩვენ ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით შემდეგ და ვეცდებით პასუხი წინად დაყენებულ საკითხისა, ჩვენის შეძლებისამებრ, მეტის სავსებით გამოვარკვიოთ თვითვეულ სახელმწიფოს მოქმედების მიხედვით, თუ გარემოებამ არ დაგვიშალა.

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ ნიკოლოოზ იაშვილი და ილარიონ კურტანიძე ფოსტა ტელეგრაფის მე VI ხარისხის მოხელეებად, პირველი — ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა, მეორე — ახალქალაქისა; ბესარიონ ხარალეიშვილი — თუქურმიშის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტალიონი გიორგი მახვილაძე.

# ახალი ამბავი

⁂ ქართველ კათოლიკე გაბრიელ მერაბიშვილს, რომელსაც სწავლა კოსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სასწავლებელში მიუღია, შეუდგენია ქართულ ფრანგული სასაუბრო სახელმძღვანელო. დღეს ეს წიგნი ბათუმში, მახარაძის სტამბაში, იბეჭდება და ამ მოკლე ხანს გამოიცემა.

⁂ რუსეთის ფოსტა 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერსაც არ მოსულა ტფილისში.

⁂ ექიმ მანსვეტაშვილს ბორჩალოს მაზრის სოფ. ბრმაკსიზში კეთროვანით ავადმყოფი აღმოუჩენია.

⁂ ჩვენის გაზეთის მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ ტფილისის სამოსამართლოს პალატამ გაამართლა ბაკიხანოვი, რომელსაც სხვასთან ერთად ნაფიცის ვექილის სტაროსელსკის მკვლელობა ჰბრალდებოდა. ეხლა გაზ. ,,ტფ. ფურც“. იუწყება, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის ამხანაგმა ბნ მახოლოდოვსკიმ უკმაყოფილება განაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ, ხოლო ბრალდებულთა დამცველმა გურსკიმ საჩივარი უმართებულესს სენატში გადაიტანაო.

⁂ გაზ. ,,ტფ ფურც“. სიტყვით მომავალის წლის პირველ იანვრიდგან ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებელში ბუჰგალტერიასაც ასწავლიან.

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“ ატყობინებენ ხონიდგან, რომ აზრადა აქვთ 1898 წლის პირველ იანვრიდგან იქაური ორ-კლასიანი დედათა სასწავლებელი მარიამის სახელობის დედათა სასწავლებლად გადააკეთონ. ამის შესახებ შუამდგომლობა უკვე აღძრულიაო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით ტფილისის გუბერნატორის საგანგებო მოხელის თანამდებობის თავისუფალ ადგილზედ დაუნიშნავთ თავ. გურამიშვილი.

⁂ „მშაკში“ დაბეჭდილია შემდეგი პატარა ამბავი:

„კავკასის“ სამს ნომერში დასტამბულია წერილი ქართველ კათოლიკეთა შესახებ ბ-ნის იზაშვილისა. ბ-ნი იზაშვილი ბევრს რასმეშია შემცდარი და ამიტომ ამ დღეებში ჩვენ დავსტამბავთ საპასუხო წერილსაო.

⁂ არ იქმნა, არაფერი ეშველა და ბოლო არ მოეღო ქარვასლის ნოქრების თავგასულობას. ისე დღე არ გავა, რომ არ მოატყუონ და ან შეურაცხყოფა არ მიაყენონ რომელსამე მყიდველს. ამ დღეებში, მაგალითად, გაზ. ,,კავკაზის“ სიტყვით, ,,შაპჩიკმა“ სააკოვმა აუარებელი საწყენი და ცუდი სიტყვები უთხრა ერთ პატივცემულ მანდილოსანს, ქ-ნს პ., მარტო იმიტომ, რომ მან სააკოვის მაღაზიაში ხელთათმანები არ იყიდა თურმე. ქ-ნ პ. ქმარს უკვე უცნობებია ეს გარემოება პოლიცმეისტერისათვის, რომელმაც უბრძანა თურმე მეოთხე ნაწილის ბოქაულს ბ-ნ ლოლაძეს, ოქმი შეადგინეთ და საკოვი პასუხის გებაში მიეცითო.

⁂ ქ. სიღნაღი. ოც-და-ხუთ წელიწადზედ მეტია, რაც სიღნაღში კლუბი არსებობს (ერთხელ ორი კლუბიცა ჰქონდათ) და შეძლების გვარად მოსდიოდა და მოსდის სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთები. ნეტა სად არის ეს ამოდენა წლების ნაამაგდარ ნასყიდი ჟურნალ-გაზეთები და, თუ აქვთ სადმე შენახული, დიდს სიკეთეს დასდებდნენ ქალაქს კლუბის მუდმივი წევრები, ამ ნახმარ ჟურნალ-გაზეთებით რომ კლუბის ერთ-ერთ ოთახში იაფ ფასიანი სამკითხველო დაეარსებინათ. ამ სამკითხველოს გარდასახადი ფასი კლუბის საჭიროებისათვის მოეხმარებინათ და მცხოვრებელთა წიგნის კითხვის სურვილიც დაეკმაყოფილებინათ.

ამ დღეებში აქ სამხედრო ბეგარის ხალხია შეკრებილი სიღნაღის მაზრის ოთხს საბოქაულოდგან და კენჭს იღებენ. შეკრებილმა ხალხმა ძალიან გაამხიარულა ქალაქი. ყველგან გაისმა სიმღერის ხმა, ფანდურისა და ტაშისა. სამხედრო ბეგარას ძლიერ შეეჩვია ხალხი, ისე თამამად, წარბშეუხრელად და გაბედვით მიდიან კენჭის ამოსაღებად, რომ სწორედ გაგიკვირდებათ. აღარც დედები, დები, ცოლები და ნათესავი ქალები მოსდევენ კვლავინდებურად ტირილ-ქვითქვითით. მაგრამ ეს-კი უნდა ვთქვათ, რომ მეტად მიჰყვეს ქეიფს ხელი ამ ახალგაზდათ, რაც სიღნაღელ ვაჭართათვის როთველია და აღდგომა.

⁂ ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს მასალები შეუკრებია და დაუწერია შემდეგი წერილი: „უმთავრესი მიზეზები“ საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა. წიგნში აღწერილია სპარსეთში მცხოვრებ ზოგიერთ პატრების ცხოვრება, რომელნიც-კი მფარველობას და ზედამხედველობას უწევდნენ სპარსეთში მყოფ უარიბ ქართველებს, უკანასკნელი განწირულება ქართველთა და ისლამის (შეის) მაგიერ კათოლიკობის აღიარება, მამანი ავგუსტიანელები, დომინიკანელები, ფრანცისკელები, კერმილიტონელები და ამათი შრომა ქართველთა წინაშე.

ოსმალეთში მცხოვრები მამანი და მათი გავლენა ქართველ მაჰმადიანებზედ. სხვა-და-სხვა ცნობა არტაანის (არდაგანის) ოლქში გაფრანგებულ ქართველებისა, სამცხის, ჩხალის ხეობას, ჭოროხას ხეობის და ზოგიერთი ისტორიული საბუთები ქართველ მოწესეთა კათოლიკობის შესახებ.

რომში, პაპის „პროპაგანდოში“ ქართულის ენის კათედრის დაარსება, ქართულის ენის მასწავლებლნი, ქართული წიგნების ბეჭდვა იქ და ზოგიერთ მომღვართა შეცდომა გვარტომობის და სარწმუნოების საქმეში. ვენეციის მხითარისტები და იქ სხვა-და-სხვა დროს მყოფნი ქართველ გვარის მომღვარნი. ზოგიერთ ძველთა და ახალთ კათოლიკეთა მომღვართა ცნობები გვარტომობის შესახებ. უკანასკნელის ეპისკოპოსის ზაქარიანის ქადაგება და ზოგიერთი მეამბოხე და მტერ-მომღვარნი, რომელნიც ტყუილ ცნობებსავრცელებენ და მის მეოხებით საგვარტომო შფოთსა და დაუსრულებელს განხეთქილებას სთესავენ.

—

**შეცდომის გასწორება**: „ივერიის“ მე-220 №-ში დაბეჭდილ თელავიდგან მოწერილ ახალ ამბავში ნათქვამია: „უბედურება ის არის, რომ ამ ხანად ფოსტის კვირაში ორჯელ სიარული მოსპესო“, უნდა-კი იყოს „კვირაში ორჯელ ფოსტის ტარებისათვის ვინ იჩივლებდა, რომ ყოველ დღიურის მსუბუქის ფოსტის ტარება დილიჟნებით ტფილისსა და თელავს შუა არ მოესპოთო.“

## ქართველი ქალია?

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.
გრ. ორბელიანი

სამწუხაროა და სავალალო ის გარემოება, რომ ზოგიერთ ქართველთ, რომელნიც უმეტესობისაგან განათლებულად არიან აღიარებულნი, ჯერაც ვერ შეუგნიათ სამშობლო ენის მნიშვნელობა და მიუცილებელი საჭიროება მისის რიგიანად შესწავლისა. ქართველს ქართველი იმიტომ ჰქვიან, რომ ქართულად ჰლაპარაკობს, ქართული ზნე ჩვეულება აქვს და მწერლობა, თორემ უამისოდ რაღა ქართველი იქნება? ჩემის აზრით, რომელი ტომის კაციც უნდა იყოს, თუ თავისი ენა რიგიანად არ იცის, ის ხელოვნურად გამოქანდაკებულს

---

ლეიპციგის ქუჩაზედ გასვლა და იქიდგან ომნიბუსით წასვლა, ასე უფრო ჩქარა იქნება, დრო ხომ იგივე ფულია!

აი ჰზის იგი ომნიბუსის იმპერიალზედ *). კარგია მოსვენებით ჯდომა! მართალია, ნესტიანი და სუსტის გულისათვის მავნე ამინდია, მაგრამ შიგ ომნიბუსში ადგილის ფასი უფრო დიდია, და არც შეეფერება ვილაც დამტარებელს იქ ჯდომა.

ჩქარა მირბის ომნიბუსი მრავალ სხვა ეტლ შორის. ამინდი უფრო წახდა, დაბნელდა. ქვაფენილებზედ აქა იქ აუარებელ გამვლელთ-გამომვლელთ ზემოდ სჩანს წვიმის ქოლგა. ზოგ მაღაზიაში სანთლები აინთო. ეს მოძრაობა, სურათი ამ ქუჩის ცხოვრებისა არ იზიდავს მოხუცის ყურადღებას. მეტად შეეჩვია იგი ყოველსავე ამას.

ჯერ რამდენსამე წამს გაუნძრევლად იჯდა. შემდეგ ამოიღო ჯიბიდგან ქაღალდი. რა გვარია? თვალს აკლდა ცოტათი და ასო-ასოობით ძლივს წაიკითხა: „ვალერია პლოკკა“... ისევ რაღაც უცხო ქვეყნური.

ამ ქალიშვილებს ყოველთვის უცხო ქვეყნის სახელები აქვთ; გვარები კი იმდენად არა, რამდენადაც სახელები; ერთს არა ჰქვიან, მაგალითად, ავგუსტა, კაროლინა, ან პაულინა. პლოკკა!.. იმისს გვარს ჰგავს; მისი გვარი — პლოხოვია, და ვალერია... ეს ხომ თითქმის იგივეა, ვალესკაა! ვალესკა პლოხოვი! ესაა მისი ქალის სახელი, ერთად ერთის მისის ბავშვისა. ქალს არავინა არა ჰყავდა თვალის დამჭერი და ამიტომ ყველაფერი შემთხვევის საქმე იყო. ერთხელ საღამოს ის აღარ დაბრუნებულა შინ, არც მეორე დღეს და არც შემდეგ. მამამ პოლიციას მიჰმართა და გაიგო ყველაფერი... მას შემდეგ მშობლებს აღარ უზრუნვიათ გზა-დაბნეულისათვის. გასწორება ხომ აღარაფრის შეიძლებოდა! მაგრამ ყველა ეს მაინც ძლიერ სამძიმო იყო, ნამეტნავად იმისათვის, რომელმაც ისე პირ-ნათლად და პატიოსნად გაატარა თავისი სიცოცხლე!

ბიულოვშტრასსეს კუთხეში დამტარებელი ჩამოხტა ომნიბუსიდგან და მალე მონახა მე-37 ნომერი. დიდი სახლი იყო; მოხუცმა ჩამორეკა და შევიდა შიგ. კიბე საუცხოვო იყო და განსაცვიფრებელი თავისის მდიდრულის მორთულობით, მარმარილოს კედლები, მარმარილოს საფეხურები, ზედ რბილი ხალი, მოოქროვებული მოაჯირი... პირველ სართულში კარების გვერდზე ლამაზად გამოიხედებოდა ფაიფურის ფილაქანი ზედ წარწერით: „ვალერია პლოკკა“. მაშ აქ! დამტარებელმა ქუდი იატაკზედ დასდო (არავინ არ მოიპარავს), შემდეგ ჩამორეკა. გაიარა რამდენმამე წამმა; ბოლოს ახალგაზდა ლამაზმა მოახლე ქალმა გამოჰყო კარებში თავი.

— შეიძლება ფრეილეინ პლოკკას ნახვა?

— არა სცალიან, საქმე გაქვთ იმასთან რამე? ჰკითხავდა ქალი.

დიახ, მოხუცმა თითონ უნდა ჰნახოს იგი. დიდის ხნის გამოცდილებამ მინდობილების ბეჯითად და სინიდისიერად ასრულება ასწავლა. რასაც აბარებენ, ყველაფერს და ყოველთვის თითონვე ასრულებს. ეს იფარავს შეცდომისაგან.

წინაკარს ელექტრონის ლამპარი ანათებდა. აქაურობაც მდიდრულად და კოხტად იყო მოწყობილი. მარტო ერთი დიდი სარკე, ბროლის ჩარჩოში ჩასმული, რამოდენსამე ას მარკად ეღირებოდა.

უცბად გაიღრჭიალა კარმა და გამოჩნდა ტან წერწეტა, სულ მთლად მუქ-წითელს ხავერდში გახვეული ქალი.

— რა გინდათ დამტარებელო?

— ელექტრონის ლამპარის სინათლემ ერბაშად გაანათა ქალის ლამაზი სახე.

— მამა?..

— შენა?..

რამდენისამე წუთს გაჩუმებულები იდგნენ ისინი ერთმანეთის წინ: ქალი — თავ-ჩაღუნული, დაბნეული, კაცი — გაუბედავი, შემკრთალი, გარშემო მხეცსავით მაყურებელი. ბოლოს ქალმა გაჰბედა.

— არავინ არ უნდა გნახოს აქ, — ჩაიჩურჩულა მან: რა გინდა?

დამტარებელს ენა ვერ დაეძრა.

— რა გინდა? არა მცალიან, მელიან?

სულშეხუთულმა მოხუცმა ძლივს წაილუღლუღა:

— იმან... გიკითხა... აი მაღალი, მოსული, კოხტად გამოწყობილი კაცი რომ არის... იქნები დღეს საღამოს... შინ თუ არაო?..

— ვიქნები! შვიდის საათიდგან მოკიდებული! მშვიდობით.

კარებში ერთხელ კიდევ მობრუნდა:

— დედა მომიკითხე!..

—

ისევ იმპერიალზედ ზის დამტარებელი. პასუხი უსათუოდ უნდა მიუტანოს. მაგრამ სამი ვერცხლის ფული წამოსასხამის ჯიბეში, თითქოს ნაკვერჩხლებად გადაქცეულაო, სწვავს. მართალია, დღეს ჯერ არაფერი არ უშოვია, მაგრამ ამოიღო ეს ფულები და ომნიბუსის მოაჯირის გადაღმა გადაყრილი ვერცხლი წკრიალით დაიფანტა ქუჩაში.

ვ. ზურაბიშვილი

*) მეორე სართული ომნიბუსისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს უფრო ემგზავსება, ვიდრე ნამდვილს, რომლის სახე მაიმუნსაც აქვს, გარნა კაცობამდის ბევრი უკლია. რა ქართველი კაცი ჰქვიან ანუ ქალი იმას, რომელმაც ქართული ენა არ იცის, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც შუა გულ საქართველოში ცხოვრობს, სადაც ქართველის გარდა თითქმის არავინ მოიძევება? თუ ქართულის არ-მცოდნე ოჯახი ღარიბს სახლობას ეკუთვნის, რომელსაც ხალხზედ დიდი გავლენა არა აქვს, კიდევ იმ დენს ვნებას ვერ მოუტანს ქვეყანას, რადგან მარტო სცხოვრობს, უმოსამსახუროდ და ხალხში მიმბაძავიც ცოტა გამოუჩნდება, ხოლო როცა იგი დიდის შეძლების თავადის ან აზნაურის ოჯახს ეკუთვნის, რომლის სახლშიაც ათი და თხუთმეტი მოსამსახურე ტრიალებს და საზოგადოებაზედაც დიდი გავლენა აქვს, რა თქმა უნდა, ეს არა სასურველი ჩვეულება თან და თან გავრცელდება ხალხში, რადგან თავადის ზნე-ჩვეულებას სოფელში ადვილად ითვისებს ხალხი. ჩვენთვის ისიც სამწუხაროა, როცა ერთი ოჯახიც აკლდება ჩვენს ისედაც რიცხვით მცირე ეროვნებას, ხოლო აუტანელია, როცა ეს ,,ერთი ტალახიანი ათასს სხვას წმინდას გასვრის‘‘.

ამას იმისთვის ვამბობ, რომ მინდა ერთი სამწუხარო ამბავი გაუწყოთ: ამას წინად შემთხვევით ძველ კოლხიდისკენ გავემგზავრე და ერთ იქაურ მახლობელ დაბა-ქალაქში მივედი ერთის კაცის სანახავად, აქ მითხრეს, რომ იგი თ. ო.—სას არისო. მაშინვე გავტრიალდი და შევედი თავადისას და ვიკითხე, ეს და ეს თუ ბრძანდება აქ, ნახვა მინდა მეთქი. მოსამსახურემ მიპასუხა, რომ ის თავის სახლში წავიდა და აქ არ არისო. ამასობაში ჩვენთან აივანზედ გამოვიდა ერთი მშვენიერი ნახატი ახალგაზრდა თხუთმეტ-თექვსმეტის წლის გასათხოვარი და მკითხა:

— რა უნდი შენ?

— მე ვიფიქრე, ბავშვების გუვერნიორი ქალი არის მეთქი და იმისე ბურად ვუპასუხე:

— მე გიორგი უნდი.

— ჩაფიქრდა. ეტყობოდა, სიტყვებს იგონებდა ჩემთან სალაპარაკოდ. ბოლოს როგორც იყო გაიხსენა და მითხრა:

— გეორგი აქ არა, გეორგი დერევნია ცაუდა.

— რამდენი ვერსტი იქნება აქედგან იქამდის? შევეკითხე.

— ვიორსტ სამიი იქნები, მომიგო.

— ამ პასუხზედ მოსამსახურემ შენიშნა:

— Отчего не тринадцать?

— Ну да, я же говорила.

— Вы ему сказала только три.

— Ахъ, какъ я... სიტყვა არ დაუთავებია, უცებ გატრიალდა და ოთახში შევიდა.

— ვინ არის ეს მშვენიერი, ფრანგია? ვკითხე მოსამსახურეს, დარწმუნებული, რომ უთუოდ უცხო ტომს ეკუთვნოდა. მოსამსახურემ გაკვირვებით შემომცინა და მიპასუხა:

— რამ გააფრანგა, რას ამბობ! ეს კნიაზის ქალიშვილია, კნიაჟნაა.

— ქართველი ქალია? მერე ქართული რომ არ იცის!?

— ქართული საიდგან ეცოდინება, როცა არავინ ელაპარაკება ქართულად! ან კი-რასაჭიროა, როცა სხვა ენები კარგად იცის. კნიაზი ჭკვიანი კაცია, მან უკეთ იცის, რომელი სჯობს. სულელი რომ ყოფილიყო, არც ღერენალი იქნებოდა.

გამოვბრუნდი და ჩემთვის წავიბუტბუტე: ჰხედავთ ჩვენს ბედ-შაობას, ჩვენს ერთობას დარღვეულს, ჩვენსა წამხდარს გმირობასა და მამულს დაობლებულს!.

სამწუხაროდ თურმე არა-იშვიათი მოვლენაა ეს ჩვენს თავად-აზნაურობაში, რაიცა აშკარა ნიშანია მისის ზნეობა გონებრივად დაქვეითებისა. ამ გვარს ქალებსა და ვაჟებში, ჩემის აზრით, სარწმუნოება მკვდარია, რადგან ჩვენს დაბა-სოფლებში ყოველთვის ქართულ ენაზედ სრულდება წირვა-ლოცვა და ქართული ხომ ამათთვის არაბული ენაა!.. თუ ბედმა გაგვიღიმა და ასე აღზრდილ ქალებს შვილიერება აღეკვეთა, ხომ კარგი, მაგრამ თუ არა, ხომ დავიღუპეთ!.. რა გვარ შვილების აღზრდას უნდა მოველოდდეთ ამათგან? გაუწევენ ასეთი ქალები ჩვენს მომავალ თაობას ნამდვილ დედობას? თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე-კი-ერთობ უიმედოდ გახლავარ. ამათი აღზრდილი შვილები ჩვენებურის სიტყვით ნამდვილი-,,გაზაკვული‘‘ გამოვლენ და—,,თვალ-ნაკრავი‘‘. სასურველია, ,,ქართველ ქალთა ამხანაგობამ‘‘, რამდენადაც შეიძლება, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და საზოგადოებამაც ხმა მისცეს *).

მეკვლე

სახელდახელო

(ყბად ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

აბა ცალის თვალით ბათუმისაკენაც გადავიხედოთ.

ბათუმი ის აღარ არის, რაც იყო.

მკვიდრნი ეხლა მარტო ქაბაბითა და იალლოთი აღარ იკვებებიან, ფესი შაპო-კლაკმა შესცვალა, ქალაქი გაიზარდა, გამშვენიერდა, გაევროპიელდა.

დიაღ, გაევროპიელდა ისე, როგორც გაევროპიელდება ხოლმე ჩვენი კნეინა თებრონია ხბოსფეხაშვილისა, როდესაც მამულს ბანკში საუკუნოდ მიაგირავებს, ჩამოვა ტფილისში, ლეჩაქის ნაცვლად შლიაპას დაიდებს თავს, კავებს გადაივარცხნის და კორსეტში გამოემწყვდევა.

ბათუმი ჩქარა ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისსაც გაუწევს მეტოქეობას... უკუღმართობაში.

ან რატომაც არა, რითი სჯობიან, თქვენს მზეს, არუთინოვის ტრიხინიანი ღორები სახპეტოვის ფქვილს! არუთინოვის ტრიხინა თუ უცბად მოჰკლავდა ადამიანს, სახპეტოვისფქვილისა უცნაური „პური არსებობისა“ გამოცხვებოდა. ეს ფქვილი მწარე იყო თურმე, შმორის სუნი სდიოდა, შიგ ნახევარზედ მეტი ქატო და მიწა ერია. სხვა რაღა გინდათ, ის და აკლდა, რომ ამ საოცარს ფქვილში ნახერხი ეპოვნათ და დაგლეჯილი ქოშები!..

ბათუმის მკურნალებიც ხომ ტფილისის მკურნალებზედ ნაკლების ზრუნვითა და გულის ტკივილით არ მოეკიდნენ ამ ფქვილს!

ამ ფქვილის გამომცხვარი პური მკურნალმა პოსლავსკიმ დაიწუნა, მკურნალმა მხეიძემ თვით ფქვილი უვარგისად იცნო, დაჰბეჭდა 127 ტომარა.

აცნობეს პოლიცმეისტერს და იმან, ტომრების დაბეჭდვა არ იკმარა, თვით ის საწყობიც დაჰბეჭდა გარედგან, რომელშიაც ტომრები ეწყო.

განა რომ ყოჩაღად მოქცეულან! გაუმარჯოს ბათუმის ექიმებსა და პოლიციას!

მაგრამ მოითმინეთ, ეს მხოლოდ პირველი მოქმედება გახლავთ ამ უცნაურის ტრაგიკომედიისა.

აიხდება ფარდა და სცენაზედ გამოდის ახალი მომქმედი—სიმონოვი. ვინ არის ეს სიმონოვი და რა არის ეს სიმონოვი? არ ვიცით. ვიცით, მხოლოდ, რომ იგი სთხოვს მკურნალს ელიავას, გასინჯე სახპეტოვის საწყობი და ნება მომეცი ფქვილი გავყიდოო. რა აქვთ საერთო სახპეტოვსა და სიმონოვს იმის მეტი, რომ ორივეს გვარი ასო „ს“-ნით იწყება? რა უფლება ჰქონდა სიმონოვს, რომ სხვისის საწყობისათვის თავს იწუხებდა? იმას რა ვირი დაჰკარგვოდა და რას ეძებდა? აქ ყველა; უვიციკი, არა თუ მეცნიერი მკურნალი, იმასა ჰკითხავდა არ-დაკარგულის ფარნით მძებნელს სიმონოვს,—შენ ვინა ხარ და შენის თხოვნით რა უფლება მაქვს სახპეტოვის საწყობი გავსინჯოო.

მაგრამ ბათუმის მკურნალს ელიავას, ეტყობა, სამოქალაქო კანონები სამკურნალო მეცნიერებაზედ უკეთ სცოდნია და სულ სხვა მხრივ შეუხედნია ამ საგნისათვის. აუყოლებია მეორე მკურნალი მონტვიე მონტვიდი და ამ ორ-გვარიანის ამხანაგით მისდგომია სახპეტოვის საწყობს.

რასაკვირველია, მივიდოდა თუ არა, საწყობის კარებშივე ბეჭედი გამოეჭიმებოდა. სხვა მკურნალი ამ შემთხვევაში ჯერ გამოიკითხავდა, ვის დაუკრავს ეს ბეჭედიო, და რაკი შეიტყობდა, რომ ეს საწყობი ჩემისთანავე მკურნალს დაუბეჭდია, ან უკან გაბრუნდებოდა და ან, მაინც და მაინც, შეატყობინებდა თავისს თანამოძმეს, მობრძანდი, ერთად გავსინჯოთ ეს ფქვილი და ავს ავი ვუწოდოთ, კარგს—კარგიო.

დიაღ, ასე მოიქცეოდა სხვა, მაგრამ ელიავა სხვა როდი გახლავთ, იგი ბ-ნი ელიავა ბრძანდება და, რაკი ის ელიავაა, კანონიც ელიავასებური უნდა იყოს, ცხოვრების წეს-რიგიც და თვით სამკურნალო ეთიკაც ელიავასებურად უნდა შეიცვალოს!..

მაგრამ რაღა თავი მოგაწყინოთ, ჰგლეჯენ ეს ორნი ჩვენის დროის შესანიშნავნი ჰიპოკრატნი ბეჭედს და ვიღაც არა-მკითხე-მოამბეს, სხვის საქმეში მეტიჩარა სიმონოვის თხოვნით გასინჯავენ ფქვილს, რასაკვირველია, მეორე ბეჭედის აგლეჯის შემდეგ.

მერეო? იკითხავთ.

მერე რა, აღმოჩნდა, რომ 127 ბეჭედ-დაკრულ ტომრიდგან მწარე გემოც გაპარულა, შმორის სუნიც, ქატოცა და მიწაც! დარჩენილა მხოლოდ სპეტაკი სახეფისკვრე ფქვილი..

როგორ მოხდა ეს უცნაური ქიმიური ცვლილება, რა მოგახსენოთ, ამისი გამორკვევა ბ-ნ ელიავასთანა მეცნიერებისათვის მიგვინდვია.

შემდეგ ეს ამბავი უცნობებიათ პოლიციისათვის და იმასაც სიმონოვისათვის ნება დაურთავს სახპეტოვის ფქვილის გაყიდვისა(Sic!).

ამითი თავდება მეორე მოქმედება ბათუმის პიესისა. აქ სიმონოვს სახპეტოვის ფქვილის გაყიდვის ნება იმიტომ ეძლევა, რომ პიესამ ინტერესი არ დაჰკარგოს და მაყურებლისათვის კიდევ გამოსარკვევი დარჩეს, ნეტა როდის გავიგებ, ეს სიმონოვი სახპეტოვისა ნათლიმამაა, თუ მძახალიო.

იწყება მესამე მოქმედება. უბრუნდება მკურნალი მხეიძე თავის მიერ დაბეჭდილს საწყობს და... პირს კატაკი ეცემა. ბეჭდებს ვილა ჰკითხულობს, 127 ტომარა ფქვილისა ერთი მისხალიც არ დარჩენილა, ტომრებს ფეხები აუდგამთ და გაპარულან.

ბ ნს მხეიძეს ეს ძალიან გაჰკვირვებია, თუმცა, ჩვენის აზრით, აქ საკვირველი არა არის-რა. თუ ტომრებიდგან მწარე გემო, შმორის სუნი, ქატო და მიწა გაიპარა, თითონ ტომრები რატომ ვერ გაიპარებოდნენ? ან კიდევ: თუ ზოგი უბილეთოდ იპარება, სახპეტოვის ფქვილის ტომრები ექიმ ელიავას და პოლიციის მიერ ნაბოძების ბილეთით რატომ ვერ გაიპარებოდნენ, მეტადრე მაშინ, როდესაც ისეთი გზის მაჩვენებელი და „ჩიჩერონე“ ჰყავდათ, როგორიც სიმონოვია, რომლის ვინაობა ჯერაც ალლაჰმა უწყის?!.

ყოველივე ეს ამბავი მოთხრობილია მკურნალის მხეიძის წერილში... დასასრულიო?..დასასრული ამ ტრაგი კომედიას ჯერ არა აქვს. მესამემოქმედებაც არ არის დამთავრებული. დასასრულისა ჩვენ არა ვიცით-რა, იმის მეტი, რომ მკურნალი მხეიძე კარებგაღებულ საწყობის წინა სდგას გაოცებით პირ-დაღებული და ქუჩის აქეთ იქითა კუთხეებიდგან სახპეტოვის ფქვილის ტომრები ნიშნის გებითა და ღიმილით შესცქერიან!..

ამ მესამე მოქმედებამ, თუ მეოთხეც არ მოჰყვა, რასაკვირველია, ბევრი რამ უნდა გამოარკვიოს. ამ მოქმედებაში უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, უცნაური საქციელი ბათუმის პოლიციისა, რომელსაც ერთი ექიმი ეუბნება,—ფქვილი არ ვარგაო, ორკეცად ჰბეჭდავს, მეორე ექიმი,—კარგიაო, ორ-კეცს ბეჭედს აგლეჯს.

მეორე. ვთქვათ, სახპეტოვის ფქვილი კარგი იყო, ბილეთიც მიეცათ ბ-ნ ელიავას და პოლიციის მიერ თავისუფლად ცხოვრებისა ბათუმის მკვიდრთა კუჭში, რაღად გარბოდნენ ტომრები ისე სწრაფად, თითქოს უჩინმაჩინის ქუდს ამოეფარნენო?!.

მესამე. კიდევ და კიდევ ვინ არის ეს სიმონოვი და რას ეძებს, რაც არა დაუკარგავს-რა?!.

მეოთხე. აქვს ნება თუ არა ერთს ექიმს მეორეს მიერ დაბეჭდილსა და უვარგისად ცნობილს ფქვილს, პირველის ექიმის უცნობელადა და შეუტყობინებლად, ახსნას ბეჭდები და გასინჯოს?!.

მეხუთე. თუნდა რაიმე უფლებაცა ჰქონოდა, ზრდილობიანად მოქცეულა ამ შემთხვევაში მკურნალი ელიავა თუ არა?

მეექვსე. რა მიზეზია, რომ მკურნალ მხეიძის წერილს, 18 ოქტომბერს გამოქვეყნებულს, მკურნალი ელიავა აქამდის გაუჩუმდა და კრინტს არა სძრავს...

ყოველ ამას და ბევრს კიდევ სხვას გამოარკვევს მესამე მოქმედების დასასრული, რომელიც მკურნალს ელიავას შეუნახავს ცხრა-კლიტულში და არ აჩენს.

მაშ დავუცადოთ ბ-ნ ელიავას წერილს.

მერე, მკურნალმა ელიავამ რომ პასუხს უპასუხეობა, ცხადს დამალული, თქმას უთქმელობა არჩიოს და, როგორც ბ-ნ მხეიძის წერილს გაუჩუმდა აქამდე, როგორც „ივერიის“ მენარკვევეს ზრდილობიანს გამოწვევას ყურადღება არ მიაქცია, ამიერიდგანაც მარტო ოდენ სდუმდეს?!.

მაშინ?!. მაშინ დაგვილოცნია ბათუმისათვის ბ-ნ ელიავასთანა გმირი, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, რადგან

ამაყი არის, გულ-ზვავი,
ექიმ-მკურნალი დიდია;
არა აქვს არაფრის შიში,
მოკრძალება და რიდია...
ხალხის და მწერლობის აზრი,—
ყველა ფეხებზედ ჰკიდია.

ჩიორა

## მეგრული ენა ქართულს ლიტერატურასა და მწერლობაში.

„მოამბის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია 10 ანდაზა, სამეგრელოში შეკრებილი თ. სახოკიას მიერ. ანდაზები მოყვანილია ქართულად და მეგრულს ენაზედ მხოლოდ ერთია აღნიშნული ფრჩხილებში ქართულად ნათარგმნის გვერდით. რადგანაც დროა ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდეს შესწავლა და გაგება მეგრულის ენისა, ამიტომ სასურველია, როცა-კი შესაძლოა, მოყვანილ იყოს მეგრულს ენაზედ ანდაზები, პატარ-პატარა ლექსები, გამოცანები და, თუ მოთხრობა შეეხება მეგრელების ცხოვრებას, მოკლე საუბარიც. ქართველი მკითხველი ამგვარის საშუალებით გაიცნობს პრაქტიკულად მეგრულს ენას, თუ მეტადრე ამ ენაზედ მოყვანილ ფრაზას (წინადადებას) დართული ექმნება გასაჭირს ადგილას ახსნა ან გადმოქართულება. რუსულს მწერლობაში ასეთი მაგალითი ხშირად გვხვდება ჟურნალებსა და კერძო გამოცემებში. პოლონურს ენაზედ მოყვანილი ანდაზები „ეთნოგრაფიულს მიმოხილვაში“ რუსის მკითხველისთვის უფრო გაუგებარია, ვიდრე მეგრული ენა ქართველისთვის, მაგრამ ამ ჟურნალში როგორც პოლონურ, აგრეთვე მალოროსიულ ენებზედ იბეჭდება არამც თუ ანდაზები, ლექსები და არაკებიც.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ადვილად შესაგნებელს მეგრულს ენას ნაკლებად იცნობს მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევა არ ეძლევა მწერლობაში წააწყდეს რასმე მის შესასწავლად. თვით ქართულის სალიტერატურო ენისთვის სასარგებლო იქნება დავუკვირდეთ ჩვენი ტომის ხალხთა კილოებს და შევავსოთ ლექსიკური ნაკლი, ანუ ავაფერადოთ იგი. ენის შესწავლ ს ყოველთვის მოსდევს თვით ერის შეგნება და დაახლოვებაც. აი ამიტომ საჭიროა მიეცეს მეგრულს ენას ქართულს მწერლობაში შესაფერი ადგილი და გავრცელდეს მისი ცოდნა მკითხველს საზოგადოებაში. თ. სა-

*) ვბეჭდავთ რა ამ წერილს, არა გვგონია ასეთი მაგალითი ხშირი იყოს, რადგან ქართველ ქალთა შორის ეხლა უკვე გაიღვიძა თვით-ცნობიერებამ და სამშობლო ენას სიამოვნებით სწავლობენ, მაინც სასურველია ამ საგნის შესახებ თავისი აზრი წარმოსთქვან ჩვენმა ქართველმა ქალებმა. რედ.

ხოკიას მიერ აღბეჭდილის ანდაზებით ვისარგებლეთ გამოგვეთქვა ის, რის თქმაც დიდი ხანია გვსურდა მეგრულის ენის შესწავლის შესახებ.

ა. ხახანაშვილი

## სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობა

„ქირსა შიგან გამაგრება
ისე უნდა ვით ქვითკირსაო“

სოფლის მასწავლებლებს სწორეთ შოთას ეს დარიგება-ღა დაგვრჩენია ნუგეშად. სიცივეს ვერ გაუძელით, შიმშილს და უფროსთა დატუქსვას. ის დალოცვილი უფროსები მუდამ იმას გვსაყვედურობენ, მოსწავლეებმა უფრო მეტი უნდა იცოდნენო, ესა და ეს საგანი კარგად ვერ გისწავლებიათო და იმას-კი არ გვეკითხებიან, გშიან, თუ გწყურიაო, გცივა თუ გთბილაო. ზოგიერთს ჩვენთაგანს წარსულის წლის ჯამაგირიც არ მიგვიღია და ზოგი მაისის ჯამაგირს ახლა, ამ თვეში, იღებს და ამ თვისას მომავალის წლის მაისში მიიღებს. ზოგიერთს სოფლებში მასწავლებლის ჯამაგირს გლეხები თავისს დროზედ იხდიან, მაგრამ სოფლის მოხელენი ნახევარის წლის და ზოგჯერ ერთის წლის შემდეგ იძლევიან. ისიც შესაძლოა, ეს ფული თავის სასარგებლოდ მოიხმარონ, საქმე გამოსაძიებლად გახდეს და მასწავლებელი სულ არ ეღირსოს მისის სისხლით ნაშოვნის ლუკმის აღებას. სახლი, რომელშიაც სკოლაა მოთავსებული, ხშირად სრულიად არ შეესაბამება დიდაქტიკურს მოთხოვნილებას, სასიმინდის მზგავსს შენობაში, რომელსაც ფანჯრებში ხშირად მინებიც არ აქვს ჩასმული, შეგირდები სიცივისაგან კანკალებენ, ზოგნი საუკუნოდ სნეულდებიან და ეთხოვებიან ამ წუთი-სოფელს. ბევრჯელ მასწავლებელნიც-კი სნეულდებიან სიცივითა და შიმშილით. მთავრობის წინაშე ხშირად სჩივიან მასწავლებელნი და აცხადებენ თავიანთს მდგომარეობას, მაგრამ საჩივარი საჩივრად რჩება და საქმე იმავე მდგომარეობაში. ხშირად შეხვდებით ისეთს სოფელს, სადაც სკოლას ერთი გულ-შემატკივარი კაციც არა ჰყავს; სოფლის მოხელეები თავისის ჯიბისაკენ იქაჩებიან, დიდებული კაცი, თუ სადმეა სოფლად, ბევრს საქმეშია გართული და შენი სკოლა არც-კი იცის, თუ არსებობს, ზოგმა იცის მისი მდგომარეობა, მაგრამ სცხვენიან იქ შესვლა.

სოფლის მასწავლებელნი უფრო მაშინა ვართ შეწუხებულნი, როდესაც სოფლელები ძველ მოხელეებს სცვლიან და ახალს ირჩევენ. ამ ძველებს ჯერ კიდევ აქვთ თავიანთი თანამდებობა, ჯაჭვი და ბეჭედი ჯერ ხელში უჭირავთ, სამი ოთხი თვეც იქმნება, რაც სოფლის ყრილობამ გამოსცვალა, მაგრამ ვიდრე ახლებს არ გარდაეცემა ჯაჭვი და ბეჭედი, ძველებს ვინ გადააყენებს. ამათ-კი მთავრობისა აღარ ეშინიანთ და მასწავლებლები ხომ გროშადაც აღარ მიაჩნიათ. ჯამაგირს მაშინ მიიღებ, მასწავლებელო, თუ ცოტას იმათაც გაუზიარებ, თუ არა, მშვიდობით, იმისს აღებას ნულარ ელი. მივარდნილს და ქალაქებზედ დაშორებულ სკოლების შესახებ რაღა უნდა ვთქვათ, როდესაც მასწავლებლები იქაც ასე გაჭირვებულნი ვართ, სადაც ბოქაული და ზოგან მაზრის უფროსიც თავისის თვალით ჰხედავს ჩვენს უკიდურესს მდგომარეობას და არ ვებრალებით. „სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირიო“, ამბობენ და მართალიც ყოფილა...

რა დანაშაული გვაქვს სოფლის მასწავლებლებს, რომ ყოველ დაწესებულებაში სამსახურის კაცს ჯამაგირი ყოველ თვიურად ეძლევა და ჩვენ კი წელიწადში ზოგჯერ ორჯელაც ვერ ვიღებთ (ბევრი მაინც იყოს, თვეში სულ 25 მანეთია!). ბევრმა იქნება არც-კი შეგვიცოდოს და სთქვას: სოფელში რად წავიდა სამსახურად, რატომ სადმე სახელმწიფო სამსახურში არ შევიდა, სულელი ყოფილა და რად შევიცოდოთო. მაგრამ ასეთს აზრს ვგონებ არც ერთი გონიერი ადამიანი არ იტყვის იმ კაცის შესახებ, რომელიც 20—25 წელიწადი ემსახურება სოფელს და 400—700 სულს ცოტად მაინც ასწავლის წერა-კითხვას, ემსახურება მშიერი, მწყურვალე, სიცივესა და გაჭირვებაში მყოფი. ნუ თუ ისეთი კაცი არ მოიპოვება ქვეყანაზედ, რომ შეგვიცოდოს და ჩვენს გაჭირვებას წამალი დაადოს რამე. ჩვენც ადამიანები ვართ, მოგვეცით ნება და საშუალება დავტკბეთ იმ ბუნებით, რომელიც ღმერთმან კაცის საკეთილდღეოდ გააჩინა.

სოფლის მასწავლებელი

## უცხოეთი

—

**კრიტი.** ამ რამდენისამე დღის წინად მომხდარმა კრიტის საერო კრებამ გადასწყვიტა მოლაპარაკება დაეწყოთ უცხო-სახელმწიფოთა ადმირალებთან კუნძულზედ თვით-მართველობის შემოღების შესახებაო. კრების პრეზიდენტად იყო სფაკიანაკი. კრებამ ამოარჩია ცალკე კომისია, რომელიც ამ საქმის სისრულეში მოყვანას შეუდგება. კომისიის წევრები უკვე წასულან ადმირალებთან თვით-მართველობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

—

**ისპანია.** ისპანიის საქმეების მოწყობას და მორიგებას არაფერი ეშველა. ამ ბოლოს დროს ძალიან დააფიქრა ისპანიის მთავრობა კარლისტთა მოძრაობამ. ისპანიის კარლისტები, როგორც გაზეთები იუწყებიან, აღარ ჰხუმრობენ და მოწადინებულნი არიან დიდი ბრძოლა გაუწიონ მთავრობას. ისპანიის თითქმის ყველა მონასტრებში აურაცხელი თოფის წამალი და იარაღი აქვთ თურმე შენახული. ამის გარდა, ისე დღე არ გავა, რომ სადმე არეულობა არ მოახდინონ. თოფის წამალსა და იარაღს კარლისტები სხვა სახელმწიფოებიდგან ჩუმად, მოტყუებით მოეზიდებიან. საიდუმლოდ ჯარის კაცებიცა ჰყავთ, რომელთაც ყოველ დღე სწრთვნიან და მომავალ ომისთვის ამზადებენ.

## დამაკვირდი

ხშირად ჩვენს საქმეს ღმერთზედ შეპკგდებთ ხოლმე, რომ საზრუნავი მოვიშოროთ და სიზარმაცით დავტკბეთ.

პიერემონტი

***

ცუდმედიდობა უფრო არარაობის ნიშანია, ვიდრე დიდობისა.

სვიფტი

***

სიცრუე საპნის ბუშტსა ჰგავს, რომელიც მცირეოდენს ხანს დაფრინავს, მაგრამ ჰაერს დიდხანს ვერ უძლებს და სქდება.

შოპენჰაუერი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

1898 წელს პარიჟში მოხდება საერთაშორისო კრება ჭლექის გამოსარკვევად. კრება განიხილავს ყოველგვარ წამლობას, რომელიც-კი არის ჭლექის წინააღმდეგ, კოხის მიერ გამოგონილს ანტიტოკსინს და რენტგენის სხივებით ჭლექის წამლობას.

***

კონსტანტინეპოლში გარდაიცვალა ერთი გამოჩენილი კაცი, რომელსაც იცნობდნენ და პატივსა სცემდნენ თითქმის ყველა დიპლომატები. ეს კაცი გახლდათ სულთანის სასახლის მეკარე კაცი მუსტაფა-მუჰარემ-აღა, რომელსაც ეს თანამდებობა ებარა მთელის 50 წლის განმავლობაში. ამ კარის კაცს ფეშქაში ძლიერ უყვარდა და სიკვდილის შემდეგ დარჩა 200,000 მანათი ნაღდი ფული.

***

ამერიკაში, მასაჩუსეტის შტატში, საპატიმრო სულ ახალის წესით არის მოწყობილი. კვირაში ორჯერ ამ საპატიმროში მოდიან ბოსტონის პროფესორები და კითხულობენ სამეცნიერო და სალიტერატურო ლექციებს. ამ ლექციების გათავების შემდეგ პატიმრები მიდიან საგემნასტიკო დარბაზში და იქა ვარჯიშობენ. გარდა ამისა, საპატიმროშივე არის კარგი ბიბლიოთეკა, რომლითაც შეუძლიანთ ისარგებლონ პატიმრებმა თავისუფალ დროს და იქვე იბეჭდება ყოველდღიური გაზეთი ათი ათასობით და ეგზავნება იმ კაცთ, ვინც-კი ოდესმე ამ საპატიმროში ყოფილა.

***

უწინ ბისმარკს ძლიერ უყვარდა ჩივილი გაზეთების რედაქტორებზე და თანამშრომლებზე. ეხლაც მოიგონა ძველებური დრო და უჩივლა პოლონიის ერთის გაზეთის რედაქტორს იმისათვის, რომ ამ რედაქტორის გაზეთში დაბეჭდილი იყო სახუმარო სცენა სიკვდილსა და სატანას შორის. აი ამ სცენის ადგილი, რომელიც ძლიერა სწყენია ბისმარკს.

სიკვდილი. შენ დიდის შიშით შემომცქერი. კარგად იცი, რომ შენმა სისასტიკემ ადამის შვილთ დიდი უბედურება მიაყენა.

სატანა. სიცოცხლის მეფევ, მე მოვხუცდი, დავუძლურდი. ნება მომეცი რამდენსამე დღეს კიდევ ვიცოცხლო.

სიკვდილი. განაჩენი გადაწყვეტილია. იმ წამებისა და ვაებისათვის, რომელიც ადამიანის შვილთ მიაყენე, ეხლავე ჯოჯოხეთში უნდა წახვიდე.

სატანა. რაკი ეგრეა, რაკი არ მეპატიება ცოდვანი ჩემნი, მშვიდობით პისტის ერო (პოლონელები არიან).

ბისმარკმა თავისი თავი იცნა აქ გამოყვანილ სატანაში და უჩივლა რედაქტორს. მოსამართლემ რედაქტორს სამის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

## ახალი წიგნები

უკვე გამოვიდა აკაკის თვიური კრებულის მესამე წიგნი შემდეგის წერილებით: პირველი განყოფილება: I. ოცნება, ლექსი; II. სიტყვა თქმული თელავში სადილზედ; III. ქართული პატრიოტობა, ლექსი; IV. სიტყვის ბანზედ აგდება; V. ქართული ფულის თავგადასავალი; VI. წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვესები; VII. გამოცანები. მეორე განყოფილება—VIII. ჩემი თავგადასავალი. მესამე განყოფილება: IX. კუჭია, ზღაპარი და X ს. ვალე (მასალა „ვინმე მესხისა“). როგორც ამ სათაურებიდგანაცა სჩანს, წიგნში მოთავსებულია რამდენიმე ახალი ნაწარმოები ჩვენის საყვარელის მგოსანის აკაკისა, რომელიც ჯერ არსადა ყოფილა დაბეჭდილი და ჯერ ჩვენს საზოგადოებას არ წაუკითხავს. საზოგადოთ ნომერი საინტერესოდ არის შედგენილი და ყველა დიდის ყურადღებით წაიკითხავს.

—

ჩვენ მივიღეთ რუსულს ენაზედ დაბეჭდილი პატივცემულის გაბრიელ სუნდუკიანცის პიესა „მეუღლენი“ („Супруги“), კომედია ხუთს მოქმედებად. ეს პიესა უკანასკნელი ნაწარმოებია „პეპო“-ს, „დაქცეული ოჯახი“-სა და „ხათაბალა“-ს ავტორისა. პიესა ცოცხლად არის დაწერილი, შინაარსი აღებულია მოხელეთა ცხოვრებიდგან და აწერილია ცოლქმრების ღალატი. პირველი მოქმედება სწარმოებს „ტფილისის სობრანიის“ საზაფხულო საღგომში. ეს პიესა პირველად სომხურს ენაზედ წარმოადგინეს 1890 წლის 29 იანვარს. „მეუღლენი“ ქართულს ენაზედაც არის გადმოთარგმნილი.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 90 გვერდს და ჰღირს 75 კაპ.

## „ივერიის“ ფოსტა

**დ. ბორჯომი. ბ-ნს ვლ. ყიფიანს.** იწერებით, რომ 1896 წლის 9 მაისს „ივერიის“ რედაქციაში გამოვგზავნე დ. ბორჯომში ჩემ მიერ შეკრებილი 53 მან. 5 კაპ. ძეგლის ასაგებად მეფე ერეკლე II ისა და იმ გმირთა სახსოვრად, რომელთაც კრწანისის ველზედ შესწირეს სიცოცხლე, და აგერ ეს მეორე წელიწადია არ ვიცი, რა იქმნა ის ფული და არც შემომწირველთა სია გამოცხადებულაო. გიპასუხებთ: თქვენი ფული რედაქციამ მიიღო იმ დროს, როდესაც „ივერია“ დროებით შეჩერებული იყო და ამიტომ არ შეეძლო შემომწირველთა სია თითონ დაებეჭდა. თქვენ მიერ შეკრებილი ფული 1896 წლის 25 თიბათვეს გარდავეცით „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, სადაც ინახება კრწანისის ველზედ ასაგებ ძეგლის თანხა, და ბარათიცა გვაქვს ამ საზოგადოების მდივნის ბ-ნის დ. კარიჭაშვილისა. რაც შეეხება შემომწირველთა სიას, ჩვენის თხოვნით იგი გამოცხადებულ იქმნა შარშანვე გაზ. „Новое Обозрѣніе“-ს მე-4263 №-ში.

**ჯ—ს.** თქვენს ლექსში ვერ გავიგეთ რას ჰნიშნავს: „კარებს დაგვიფეთ ცისასა“. დაფეთება თუ დაფეთიანება ცის კარებისა არა გვგონია შესაძლებელი იყოს. არ დაიბეჭდება.

**ვ. ხიმშელს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი „ნაწყვეტები“ არ დაიბეჭდება.

**გიტულიშვილს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**სოფ. საქობო. ოზბეგს.** ლექსთა თხზვას რომ სულ თავს დაანებებდეთ და თქვენს გაკვეთილებს დაუბრუნდებოდეთ, უკეთესს იზამთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდი ხანია, რაც ქალაქი ოზურგეთი ჰგრძნობდა საჭიროებას წიგნთ-საცავისას და, როგორც იქმნა, ეს ერთი თვეა რაც დაარსდა წიგნთ-საცავი, რასაც მთელმა ოზურგეთის მცხოვრებლებმა თანაუგრძნეს და მუდამ დღე მთელის ოზურგეთის ქალაქის მცხოვრებნი სტკბებიან ახალის ამბებითა და აგრეთვე წიგნებიც ეძლევათ სახლში წასაკითხად უსასყიდლოდ. ეს ვინ არ იცის, რომ ეს ერთი საუკეთესო საქმეა, მაგრამ, სამწუხაროდ ჩემდა, როგორც ადგილობრივმა მღვდელმა, არ შემიძლიან აქ არ აღვნიშნო ერთი ურიგო მდგომარეობა, რომელიც ხდება ხსენებულის წიგნთ-საცავის მიზეზით. ჩემის აზრით ზნეობრივ და გონებრივ საზრდოსთან სულიერი საზრდოც უნდა გვახსოვდეს, მაგრამ ისე გაიტაცა აქაურნი მცხოვრებნი ჩვენმა წიგნთ-საცავმა, რომ თითქმის სრულიად დაავიწყდათ წირვა-ლოცვის მოსმენა. მართლაც, აკაკისა არ იყოს, ჩვენი ზარების ხმა იმათ ეხლა „წადით“, „წადით“ ეყურებათ. უქმეს წინადღის საღამოს ლოცვაზედ ჩვენი ეკკლესია სრულიად დაცარიელებულია. ამისათვის სასურველია მიექცეს ყურადღება, ვისგანც ჯერ არს, რათა კვირაუქმე დღეების წინ საღამოს ოთხის საათიდგან დაკეტილი იქმნას წიგნთ-საცავი ვიდრე ექვს საათამდე, ე. ი. მწუხრის და ცისკრის გამოსვლამდე და ამ ნაირად აღარც სულიერი საზრდო დაგვავიწყდება და წიგნებისა და გაზეთების კითხვასაც მოვესწრებით.

წინამძღვარი ოზურგეთის ტაძრისა მღვდელი დავით დუმბაძე

## პეტერბურგის ბირჟა, 31 ოქტომბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაცვლილისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 205½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100⅜ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 293 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 252½ |


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . . | „ | 20 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Ноября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.